საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 87^1–87^3 მუხლები:

„მუხლი 87^1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა

1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისას და საბაზრო ქსელში განთავსებისას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისადმი მოპყრობის სპეციალური მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 800 ლარამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800-დან 2000 ლარამდე.

3. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100-დან 1000 ლარამდე, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან უამისოდ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 2000 ლარამდე, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

5. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან უამისოდ.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 3000 ლარამდე, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

7. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000-დან 5000 ლარამდე.

მუხლი 87^2. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევა

1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 500 ლარამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1500 ლარამდე.

მუხლი 87^3. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ეტიკეტირების წესების დარღვევა

1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ეტიკეტირების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 3000 ლარამდე.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე–44^3, 44^5, 44^7–44^{12}, 45-ე–46^1, 48-ე, 49-ე, 50^1–55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2, 59^3, მე-60, 60^3, 61-ე, 61^1, 63-ე, 63^1–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1–82^2, 84-ე–86-ე, 87^1–87^3, 88-ე–89^3, 91^2, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^5, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე, 152^2–153^1 და 153^3–153^5 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 154-ე–154^2, 155^1–156-ე, 157^1–158^1, 159-ე–159^1, 159^4–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 166-ე და 167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^1, 172^4, 172^5, 173-ე, 173^4–173^7, 173^9, 173^{12} და 174^1 მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^1, 175^2, 177^8, 177^9, 177^{11}, 178-ე, 179^1–179^3, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 182-ე, 183-ე, 187-ე–187^2, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^3, 196^6 და 197^1 მუხლებით.“.

3. 222-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 222. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე, 51^2, 51^4–53^2, 54-ე, 54^1, 55^1, 55^4, 56-ე, 57-ე–57^3, 58-ე, 58^1, 58^3, 59-ე, 59^3, მე-60, 60^3, 61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4, 69^5, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1, 79^2, 82-ე–82^2 და 84-ე–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლით (გარდა 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებისა), 87^1–87^3, 89-ე–89^3, 103^1 და 128^3–128^5 მუხლებით, 146^1 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 173^5 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.“.

4. 239-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51^2, 51^4–53^2, 54-ე, 54^1, 55^1, 55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^3, მე-60, 60^3, 61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4, 69^5, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1, 79^2, 82-ე–82^2, 84-ე–86-ე, 87^1–87^3, 89-ე–89^3, 91^2, 103^1, 104-ე და 128^2–128^5 მუხლებით, 146^1 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 173^5 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

18 სექტემბერი 2014 წ.

N2660-Iს